

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი თავისუფლების N65

19 აპრილი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, გია ხარაბაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, პაატა ხურციძე, სანდრო ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, პაატა ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები ს/კ 31.00.364), შპს „ დატაკომი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდით, პირობითი გადაცემაზე და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: /ზვიად კაპანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე შემოსული ინიციატივების განხილვა.

მომხს:/ გიგა გოგიბერიძე/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ბატონმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები ს/კ 31.00.364), შპს „დატაკომი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდით, პირობითი გადაცემაზე და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ და მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგებილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწოდების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობების (გარე განათების კონსტრუქციები ს/კ 31.00.364) შპს „დატაკომი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდით, პირობითი გადაცემაზე.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები ს/კ 31.00.364), შპს „დატაკომი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდით, პირობითი გადაცემაზე და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემა

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N2/

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა გიგამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე შემოსული ინიციატივების შესახებ ინფორმაცია კერძოდ;

საკრებულოს წევრის შალვა ლორთქიფანიძის ინიციატივა ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემში მცხოვრები 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის დავით დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

საკრებულოს წევრის გიორგი ივანიაძის და ივანე კორძაძის მიერ შემოსული ინიციატივა მუქედის თემში მცხოვრები მიხეილ დვალიშვილისა და ლავროსი ივანიაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინიციატივით შემოსული საკითხი კერძოდ, ვანის მორაგბეთა კლუბ „არგოს“ თვის კლუბის დაფუძნების ორგანიზატორის აწ. გარდაცვლილ ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ აღნიშნული საკითხები საჭიროებს საფუძვლიან განხილვას შესაბამისი მკომისიის მიერ.

ასევე კომისიის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ 2008 წლის აგვისტოში გარდაცვლილ გმირებს უსრულდებად გარდავალებიდან 10 წელი 2018 წლის აგვისტოში და სასურველია ამ დროითვის დასრულებული იყოს დაღუპული გმირების სახლის მინიჭება იმ ქუჩებზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, რათა უკვდავყოფილ იყოს მათი სახელები.

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე